პროექტი

საქართველოს მთავრობის
დადგენილება №

2019 წლის ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 20/01/2014, 300160070.10.003.017684) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. 2014 წლის 1 იანვრამდე მოქმედი დიდი ზომის ბავშვთა,24 საათიანი მომსახურებები (15-ზე მეტი ბავშვით), რომლებიც სრულად ვერ აკმაყოფილებენ ამ დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა.ბ“, „გ.ბ.გ“, „გ.ბ.დ“, „გ.დ“ ქვეპუნქტებით და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ.ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, 2020 წლის 1 ივნისამდე გავრცელდეს შემდეგი სტანდარტები:

ა) ბენეფიციართა/აღმზრდელთა თანაფარდობა განისაზღვროს ყოველ 9 ბენეფიციარზე არანაკლებ ერთი აღმზრდელით;

ბ) ყოველ საძინებელ ოთახში:

ბ.ა) უნდა განთავსდეს არაუმეტეს 9 ბენეფიციარი;

ბ.ბ) თითოეული ბენეფიციარისთვის იყოს ლოგინი და საწოლი;

გ) საპირფარეშო (ვენტილაციით), საშხაპე, პირსაბანი (ცივი/ცხელი წყლით) 10 ბენეფიციარზე იყოს არანაკლებ ერთისა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციართა შემთხვევაში, აღნიშნული გარემო მორგებული უნდა იყოს ამ კატეგორიის ბენეფიციართა საჭიროებებზე;

დ) ბენეფიციართა კვებისათვის იყოს საკმარისი სასადილო ფართობი, სასადილო მაგიდასთან (მაგიდებთან) ბენეფიციარის ინდივიდუალური ადგილი და სკამი, იქონიოს და გამოიყენოს სათანადო რაოდენობის ჩაისა და სადილის ჭურჭელი (მაგ.: თეფშები, ფინჯნები, ლანგრები და სხვა) უჟანგავი ლითონის კოვზები, დანები და ჩანგლები.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართი (ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**